საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№198 2016 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

ს. სუბარისთვის „საქართველოს მთავრობასა და გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას შორის პროექტის „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით“ განხორციელების შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს სოზარ სუბარს მიენიჭოს „საქართველოს მთავრობასა და გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას შორის პროექტის „მოწყვლადი იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მათი საარსებო წყაროების

თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით“ განხორციელების შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის უფლებამოსილება.

გიორგი კვირიკაშვილი